KA030118231704219

№ 01-5299 **28 / მაისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა ბოხუას

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 17-18 ივნისს ავსტრიაში ქ. ვენაში მსოფლიო ბანკის ორგანიზებით დაგეგმილია სემინარი თემაზე „Learning Labs on Activation and Graduation Policies and Indicators and Tools to Assess Social Protection Systems“, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ბულგარეთის, მოლდოვას, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები და ექსპერტები.

შეხვედრაზე განიხილება მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემები და ამ სისტემებში ჩართული პირების შრომითი აქტივაციის საკითხები, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები, სერვისებით დაფარვის, ხელმისაწვდომობის, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ინდიკატორები.

აღნიშნულ ვიზიტში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლიკა კლიმიაშვილი და სოციალური დაცვის დეპარტამენტის პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - თეა გვარამაძე.

შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციის მხრიდან წარდგენილი იქნება პრეზენტაცია “Social Protection System in Georgia and the latest development and challenges in Active Labor Market Programs“.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (მგზავრობა და სასტუმრო) ანაზღაურდება მომწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ლიკა კლიმიაშვილისთვის და ქალბატონი თეა გვარამაძისთვის მიმდინარე წლის 16 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
მტკიცებულებულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია